

სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება

ბ ე ბ მ ა:

- ← სოციალური პოლიტიკის მოდელები და მათი აგების ძირითადი პრინციპები;
- ← სოციალური ბარდაქმნები დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- ← სოციალური რეფორმების გამოცდილება სნბ-სა და ბალტიის ქვეყნებში;
- ← სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ეროვნული საფუძვლები და თავისებურებები იაპონიაში;
- ← საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის;
- ← რეკომენდებული ლიტერატურა.

12.1 სოციალური პოლიტიკის მოდელები და მათი აგების ძირითადი პრინციპები

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადასვლის პირობებში. იცვლება სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების ფუნდამენტური მექანიზმები. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გლობალური პრობლემები ფორმულირდება, როგორც ეკონომიკის ეკოლოგიური და სოციალური ორიენტაცია, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება, მდგრადი განვითარების მოდელზე გადასვლა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე და მომავალ თაობათა ინტერესების თანასწორობას.

მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების ყველა სოციალური ინსტიტუტის, უპირველესად, სახელმწიფოს საქმიანობის გამიზნვას ისეთ ცვლილებებზე საზოგადოებაში, რომლებიც განიხილებიან, როგორც განვითარება. და, თუმცა, ეკონომიკა კვლავ რჩება სოციალური გადაწყვეტილებების რეალიზაციის საფუძვლად, სოციალური პოლიტიკის როლი ეკონომიკური

*მერაბ ვანიშვილი –
სტუ-ს პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი
დავით ხაჭაპურიძე –
სტუ-ს დოქტორანტი*

ზრდის პრობლემის გადაჭრაში მაინც მუდმივად იზრდება. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკის პრევალირება საშუალებას იძლეოდა საზოგადოებრივი განვითარების მიზნად დეკლარირებული მოქალაქეთა სოციალური დაცულობის მაღალი დონე, “ყველა-სათვის კეთილდღეობის სახელმწიფოს” იდეა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდის დასაწყისის ქვეყნებში ეკონომიკური დაცემის პირობებში ფართოდ გაიშალა სოციალური გარანტიების სახელმწიფო სისტემის კრიტიკა. ბევრის აზრით, სოციალური მომსახურებით მოსახლეობის ექსტენსიური უზრუნველყოფა შეუძლებელ ტვირთად იქცეოდა ეკონომიკისათვის. სწორედ ამიტომ ქვეყნების

უმეტესობა შეუდგა სოციალური პოლიტიკის სისტემის სრულყოფას, რაც ძირითადად გამოვლინდა სოციალური სფეროს დარგთა საქმიანობის რეფორმირებაში, საპენსიო რეფორმებში, დაფინანსების პრინციპების ცვლაში, სოციალურ პრობლემებზე სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობის ზრდაში.

სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს საკმაოდ დიდი სტრუქტურირებულ ჰიპერსისტემას, რომლის შემადგენლობაში ქვესისტემების სახით შედიან არა მხოლოდ სოციალური სფეროს დარგები, არამედ ასევე პოლიტიკა შრომისა და შრომითი ურთიერთობების დარგში, დემოგრაფიული პოლიტიკა, შრომისუნაროთა და ნაკლებუზრუნველყოფილთა სოციალური დაცვა და ა.შ. სოციალური პოლიტიკის სტრუქტურული მთლიანობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:


- საზოგადოების მიერ სოციალური პრიორიტეტების, სოციალური განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შერჩევა;
- ერთიანი კანონმდებლობა, რომელიც აყალიბებს ერთიან სოციალურ სივრცეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის;
- სახელმწიფოსა და სოციალური პოლიტიკის სხვა სუბიექტების პროტექციონიზმი სოციალური სფეროს დაფინანსების უზრუნველსაყოფად;
- ერთიანი სოციალური ინფრასტრუქტურა, ერთიანი საკადრო და საინფორმაციო უზრუნველყოფა.

“სოციალური პოლიტიკის” სისტემის საქმიანობის ობიექტად გამოდის ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების მიუხედავად.

ამ სისტემის საქმიანობის სუბიექტად გვევლინებიან ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეთა გაერთიანებები.

თავის საქმიანობაში სისტემა იყენებს რესურსებს. ისინი შეიძლება დაიყოს სამართლებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ საფინანსო, საკადრო და საინფორმაციო ჯგუფებად.

სისტემის ფუნქციონირებაზე არსებით გავლენას ახდენს გარე სამყაროს ფაქტორები (იხ. ნახაზი 1).



ნახაზი 1. „სოციალური პოლიტიკის“ სისტემის მოდელის ზოგადი სქემა

გარე სამყაროს ძირითად ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- ქვეყნის საერთაშორისო იურიდიული და ეკონომიკური ხელშეკრულებები;

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში;

- ეკონომიკური სიტუაცია მსოფლიოში;

- ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია უახლოესი საზღვარგარეთის ქვეყნებში;

- მოსახლეობის რეაქცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე სოციალური პოლიტიკის საკითხებში;

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიების, მოძრაობების) რეაქცია ხელისუფლების საქმიანობაზე;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეაქცია ხელისუფლების საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებულ სიტუაციაზე;

- ეროვნული თავისებურებები და ეროვნებათაშორისი ურთიერთობები ქვეყანაში.

მსოფლიოში სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება: საკრალურ-პატერნალისტური და ლიბერალური.

სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის საკრალურ-პატერნალისტური მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს სრულ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც ხდება სოციალური სფეროს დარგებში, გამორიცხავს მოქალაქეთა მონაწილეობასა და პასუხისმგებლობას სოციალური პოლიტიკის პრინციპების განხორციელებასა და მიმართულების შერჩევაში, არ უტოვებს შესაძლებლობას რამენაირად გავლენა იქონიოს მასზე. სოციალური პოლიტიკის მოცემული მოდელის დროს ხელისუფლება განიხილება სოციალური პოლიტიკის ყოვლისშემძლე სუბიექტად, ხოლო საზოგადოება მის ობიექტად.

მსგავსი სიტუაციებისათვის დამახასიათებელია შემდეგი: ხალხი მუშაობს, ქმნის მატერიალურ დოვლათს, ხოლო ყოვლისშემძლე ხელისუფლება წყვეტს, რა არის საჭირო მისი კეთილდღეობისათვის, ყველა მის საარსებო პრობლემის გადაჭრისათვის. ადამიანი ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ მასზე თითქმის არაფერი არ არის დამოკიდებული საკუთარი სოციალური სტატუსის განსაზღვრაში. რესურსები გამოიყენება მხოლოდ სისტემის საქმიანობის სუბიექტად, გარე სამყაროს ფაქტორები კი, სისტემის ჩაკეტილობის გამო, ცნობილია და გაითვალისწინება აგრეთვე მხოლოდ მის სუბიექტად. ამ მოდელში სისტემის საქმიანობის ობიექტი საკმაოდ პასიურია, რაც არღვევს სისტემის ფუნქციონ-

ირების ძირითად პრინციპებს.

სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის სხვა მიმართულება, რომელსაც პირობითად ეწოდება ლიბერალური, დღეისათვის მოქმედებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების წვერ ქვეყნებში და იყოფა სამ ძირითად მოდელად: სოციალ-დემოკრატიულად, კორპორატიულად და საკუთრივ ლიბერალურად. ქვემოთ განვიხილავთ უკანასკნელებს უფრო დეტალურად.

12.2 სოციალური ბარჯაჰმენები დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

სანამ ვიმსჯელებთ სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის მოდელზე საბაზრო ურთიერთობებით განვითარებულ ქვეყნებში, საჭიროა შევჩერდეთ ზოგად პირობებზე, რომლებშიც მიმდინარეობს მოცემული პროცესი.

სოციალური პოლიტიკის სისტემაზე უდიდეს გავლენას ახდენს კონკრეტული საზოგადოების ფუძემდებლური ნორმები და ფასეულობები. სოციალური პოლიტიკა გვევლინება ერთგვარ სარკედ, რომელშიც აისახება მოსახლეობის ღრმად ფესვგადგმული სოციალური მოლოდინები, რომლებიც ყალიბდება სოციალური პოლიტიკის სტრუქტურის გარეთ.

საზოგადოების ნორმატიულ ფასეულობათა საკვანძო მაჩვენებელს წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის ხასიათი. ზოგიერთ ქვეყანაში ამ სისტემის ფარგლებში გაწეული სოციალური მომსახურებანი ძირითადად განიხილება როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელთა გამოყენებითაც მოგებულია ყველა მოქალაქე. ანალოგიური ხასიათის მეორე ფასეულობას წარმოადგენს სოლიდარობის პრინციპი, რომლის შესაბამისად სოციალური მომსახურებისათვის ხარჯების დაფარვის მთელი ტვირთი მოხუცი, ავადმყოფი და ღარიბი ადამიანებისაგან გამიზნულად გადაეცემათ ახალგაზრდებს, მდიდრებსა და ჯანმრთელებს, იმისათვის, რათა საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილ იქნას აუცილებელი სოციალური დახმარების გაწევა.

სხვა საზოგადოებებში ძლიერი გავლენით სარგებლობდნენ რადიკალური და ბაზარზე ორიენტირებული 80-იანი წლების კონცეფციები, რომელთა მიხედვით სოციალური სფეროს დარგთა საქმიანობის შედეგები განიხილება როგორც საქონელი, რომელიც შეიძლება შეიძინო და გაყიდო ბაზარზე. ეს კონცეფცია აქცენტს აკეთებს ეფექტურობაზე, რომელიც საბაზრო სტიმულებმა შეიძლება ჩართონ სოციალური მომსახურების

მიწოდების სისტემაში, და ასევე იმ წვლილზე, რომელიც, როგორც მიიხსნება, ამ სტიმულებს შეაქვთ სოციალური სფეროს დარგებზე ხარჯების შემდგომი ზრდის შეკავებაში. მიუხედავად ამისა, კონცეფცია, რომლის თანახმადაც სოციალური მომსახურებები განიხილება როგორც საბაზრო საქონელი, თუმცა განიხილებოდა პოლიტიკის განმსაზღვრელ ზოგიერთ წრეებში, მაინც არ იქნა მიღებული ევროპის არც ერთ ქვეყანაში.

სოციალურ პოლიტიკაში რეფორმების გატარების განმაპირობებელ არა ნაკლებად მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა და სტრუქტურა. დასავლეთ ევროპაში მაკროეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო მეტად ასახავს კონკურენტუნარიანობისადმი ყოველი ცალკეული ქვეყნის ღრმად დაფიქრებას სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პერიოდში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ მონეტარულ კავშირში შემსვლელთათვის მაასტრიხტში მიღებულმა კრიტერიუმებმა. ორივე ამ ფაქტორმა მიგვიყვანა იქამდე, რომ პირებმა, რომლებიც განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ პოლიტიკას, იწყეს სოციალურ სექტორზე, განსაკუთრებით სოციალური უზრუნველყოფის სამსახურზე, ხარჯების მკვეთრი შემცირების მოწოდება.

ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით.

სოციალ-დემოკრატიული მოდელი: სოციალური პოლიტიკის გზები და მიმართულებები ამ მოდელის ფარგლებში განისაზღვრება მემარცხენე ფრთის მუშათა პარტიისა და წვრილი ფერმერების ინტერესების გამომხატველი პარტიის პოლიტიკური კავშირით, რომელიც გამიზნულია სახელმწიფოს მხრიდან მთელი მოსახლეობის სოციალური მომსახურების ფართო დიაპაზონით უზრუნველყოფაზე, მისი სრულად დასაქმების პირობებში. *გ.ხანეში* ამ მოდელს განსაზღვრავს, როგორც *სკანდინავიურს* (დანია, შვეცია, ფინეთი): სოციალური მომსახურებები განიხილებიან როგორც სამოქალაქო უფლება, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თანასწორ, გადასახადების ხარჯზე დაფინანსებულ სოციალურ უზრუნველყოფაზე. დასაქმებული მოსახლეობა იღებს დამატებით სოციალურ შეღავათებს. სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემიდან გამოყოფილია მხოლოდ უმუშევრობის დაზღვევა, ის დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე. მთლიანად, სოციალური უზრუნველყოფის დონე საკმაოდ მაღალია; ის ძირითადად ფინანსდება გადასახ-

ადების ხარჯზე [6, გვ. 17-18].

კორპორატიული მოდელი: გულისხმობს სოციალური დაზღვევის მიხედვით დახმარების სისტემის განვითარებას, რომელიც დიფერენცირებულია შრომითი საქმიანობის სახეების მიხედვით და, პროფკავშირული მოძრაობის სახელმწიფოსთან ინტეგრაციის შესაბამისად. *გ.ხანეში* მოცემულ მოდელს უწოდებს *კონტინენტურს* (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები). მას საფუძვლად უდევს სოციალური დაზღვევა, ე.ი. სოციალური უზრუნველყოფა პირდაპირ ან ირიბად (ოჯახის წევრთათვის) ნაწილდება მომუშავე მოსახლეობაზე. ძირითადად შენატანების საფუძველზე დაფინანსებული სოციალური დაზღვევის მომსახურებები განსხვავდებიან ამა თუ იმ პროფესიონალური ჯგუფისადმი კუთვნილებისაგან დამოკიდებულებით [6, გვ. 19-20].

ლიბერალური მოდელი: მოცემული მოდელი გულისხმობს მოსახლეობის მინიმალურად აუცილებელ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას. მან გამოყენება პპოვა ანგლოსაქსონურ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია). *გ.ხანეში* მოცემულ მოდელს უწოდებს *ანგლოსაქსონურს*. ის მოიცავს საკმაოდ დაბალ დონეზე მყოფ სოციალურ დაზღვევას და მისთვის გადამწყვეტი როლის მქონე სოციალურ დახმარებას. ანგლოსაქსონური მოდელის შიგნით არის ზოგიერთი განსხვავება. მაშინ, როცა დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემა ახორციელებს მთელი მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებას, ირლანდიაში სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ დაბალხელფასიანებმა. განხილულმა მოდელმა ამა თუ იმ სახით იწყო გავრცელება ევროპის კონტინენტის საზღვრებს გარეთაც – აშშ-ში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში [6, გვ. 21-22].

გარდა ამისა, *გ.ხანეში* გამოყოფს სოციალური პოლიტიკის კიდევ ერთ მოდელს – **რუდი-მენტარულს**, რომელიც გვხვდება სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებების გავლენით, სრულყოფილ ან შექმნილ იქნა საერთო სოციალური უზრუნველყოფის სისტემები. როგორც წესი, ისინი მოიცავენ წარმოებაში დაზღვევასა და სოციალურ დაზღვევას; მთლიანობაში, სოციალური უზრუნველყოფის დონე ამ ქვეყნებში საკმაოდ დაბალია. აქ ჯერ კიდევ ამოდიან იქიდან, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცვა ბევრ შემთხვევაში ხორციელდება ოჯახის ან კერძო ქველმოქმედების მეშვეობით. ეს მოდელი ინტერპრეტირდება, როგორც განვითარებადი ან გარდამავალი [6, გვ. 23-24].

სოციალური პოლიტიკის ნებისმიერი მოდელი ვერ იქნება ქმედითი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. სოციალური პროგრამებისა და მთლიანი სოციალური პოლიტიკის დაფინანსება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მშპ-ში დანახარჯების წილთან.¹

ევროკავშირის ყველა წევრ-ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის სისტემის დაფინანსებისათვის მოიხილება როგორც დამქირავებელთა, ასევე დაქირავებულთა მიერ შენატანები, ასევე საგადასახადო საშუალებები.²

პრინციპში, სოციალური სფეროს დაფინანსების ამგვარი სტრუქტურა დამახასიათებელია ევროკავშირის ყველა წევრი-ქვეყნისათვის, თუმცა თითოეულ მათგანში არის თავისი სპეციფიკური თავისებურებანი. ასე, მაგალითად, კონტინენტალური მოდელის მარეალიზებელ ქვეყნებში 2010 წელს სოციალური სფეროს დაფინანსების ორი მესამედი და მეტი (71.5% საფრანგეთში) მოდიოდა დამქირავებელთა და დაქირავებულთა შენატანების ხარჯზე.³

ევროკავშირის ყველა წევრი-ქვეყნისათვის საერთო ისაა, რომ სოციალური უზრუნველყოფის სფეროს (მთლიანად, სოციალური პოლიტიკის) დაფინანსებაში მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, ასევე საწარმოები და კერძო ორგანიზაციები. თითქმის ყველგან, უწინარესად, სახელმწიფო (მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) აფინანსებენ სოციალურ პროგრამებს; დაფინანსების წყარობად გამოდის საგადასახადო შემოსულობანი და შენატანები. სახელმწიფოს წილი ყველაზე მაღალია ანგლოსაქსონური და სკანდინავიური მოდელების წარმომადგენელ ქვეყნებში (დანი-აში, მაგალითად, 74.2%). კონტინენტალური (კორპორატიული) მოდელის ქვეყნებში სახელმწიფოს წილი შედარებით დაბალია (პოლანდიაში – 27.5%, გერმანიაში – 37.0%), სამაგიეროდ, კერძო ორგანიზაციების წილი ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანია (პოლანდიაში – 35.2%, გერმანიაში – 29.3%) [6, გვ. 24-25].

12.3 სოციალური რეზორმების ბამოცდილება სნპ-სა და ბალტიის ქვეყნებში

90-იან წლებში საბჭოთა კავშირის რღვევამ გამოიწვია თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელთა წინაშე წამოიჭრა სოციალურ სფეროში უპრეცედენტო პრობლემები, რაც მოითხოვდა ძირეულ ცვლილებებს სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში განლაგებული ქვეყნების ეკონომიკა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეფასებულია როგორც გარდამავალი. ცვლილებების აუცილებლობა, უმთავრესად, ნაკარნახევი იყო წინააღმდეგობით ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო მეტი ნაწილის სოციალურ დაცვაში მოთხოვნილებათა ობიექტური გაფართოებასა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათი დაკმაყოფილების ეკონომიკური შესაძლებლობების შემჭიდროვებას შორის.

არსებობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის სისტემის ტრანსფორმაციის კონკრეტული მექანიზმები და ფორმები [13, გვ. 22]:

1. სოციალური დაცვის ტოტალურ-სახელმწიფოებრივი სისტემის უპირატესად სადაზღვევო საფუძველზე გადასვლა;
2. საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სოციალური დაცვის სისტემისა და მისი სტრუქტურის შექმნა, მათ შორის:
 - საპენსიო დაზღვევა;
 - ავადმყოფობის დაზღვევა;
 - უმუშევრობის დაზღვევა;
 - სამედიცინო დაზღვევა;
 - საწარმოში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისგან დაზღვევა;
 - დახმარებები ოჯახებისათვის;
 - ნაკლებუზრუნველყოფილთა დახმარებები;
3. სოციალური მომსახურების დანქარებუ-ლი განვითარება, განსაკუთრებით მათი ისეთი

¹ საგულისხმოა, რომ 2010 წელს ევროკავშირის ქვეყნებში დანახარჯებმა სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაზე საშუალოდ შეადგინა მშპ-ის 24.4%, ამასთან, სოციალური დანახარჯების წილი მერყეობდა მშპ-ის 35.6%-დან შეეციაში 19.9%-მდე ირლანდიაში.

² მთლიანად, 2010 წელს ევროკავშირის ქვეყნებში დანახარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე დაფინანსდა 40%-ით დამქირავებელთა შენატანების, 24%-ით – მუშაკთა შენატანების ხარჯზე, მაშინ როცა სოციალური სფეროს დაფინანსებაში მთლიანი გადასახადების წილმა საშუალოდ შეადგინა 34%, სოციალური გადასახადების წილმა კი – მხოლოდ 2%.

³ საგულისხმოა, რომ 2010 წლიდან დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს სოციალური მომსახურების დაფინანსების სახეების თანდათანობითი რესტრუქტურირება. ევროკავშირის ყველა წევრი-ქვეყანაში სოციალურ დაზღვევაზე დამქირავებელთა მიერ გაწეული შენატანების წილი მცირდება; სოციალური სფეროს დაფინანსებისათვის სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება დაქირავებულთა მიერ გაწეული შენატანებისა და საგადასახადო შემოსულობათა მოზიდვა.

სახეებისა, რომლებიც განსაკუთრებულ აქტუალობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენენ შერეული ეკონომიკის პირობებში. ესენია:

➤ შრომის ბაზარზე აქტიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული მომსახურებები, რომლებსაც მოსახლეობას სთავაზობენ დასაქმების სამსახურები;

➤ მოსახლეობისათვის ტერიტორიული სოციალური სამსახურების მიერ განხორციელებული სოციალური მომსახურებები.⁴

სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია სნგსა და ბალტიის ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება. თუ ყოფილი ბალტიისპირეთის ქვეყნები გუ-ლახდილად აკოპირებენ სოციალური პოლიტიკის დასავლურ მოდელებს, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ყაზახეთი და ყირგიზეთი, იმყოფებიან სოციალური რეფორმების და სოციალური პოლიტიკის განხორციელების ხერხების საკუთარი სტრატეგიების ძიებაში.

დასავლური ნიმუშის მიხედვით სოციალური რეფორმების რეალიზაციის მაგალითად შეიძლება გამოდგეს სამედიცინო დაზღვევის შემოღება ესტონეთში, სადაც ნახევარ წელზე უფრო ნაკლებ დროში იქნა რეალიზებული სამედიცინო დაზღვევის კლასიკური მოდელი.

ყაზახეთის მიერ არჩეულ სოციალური რეფორმების სტრატეგიას აქვს საშუალოვადიანი ხასიათი და მიმართულია მდგრადი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შექმნაზე. სოციალური პოლიტიკის აქტივიზაციაზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით. ყაზახეთში სოციალური პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტაბილიზაცია და მისი ზრდის უზრუნველყოფა, მოსახლეობის ნაკლებად დაცულ ფენებზე კრიზისული მოვლენების გავლენის შემცირების პირობებში.

ამასთან დაკავშირებით, შემუშავებულია და ეტაპობრივად ხორციელდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების დაცვის სისტემის სრულყოფას, დახმარების მისამართიანობის გაძლიერებას, რეალური ხელფასის ზრდას, საპენსიო უზრუნველყოფის, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის სისტემის რეფორმას.

ყაზახეთში იქმნება შრომის ანაზღაურების

რეფორმირების გზით შემოსავლების მხარდაჭერის სისტემა, მუშავდება ზომები და იქმნება მექანიზმები, რაც შეიძლება მაღალი გამოუმუშავების მისაღებად საკუთარი შრომითი წვლილის, ეკონომიკური ფხიანობისა და ინიციატივის ხარჯზე, მიუხედავად საკუთრების ფორმისა; უმუშევრობის მაღალი დონით გამორჩეულ რეგიონებში უზრუნველყოფა მოსახლეობის მინიმალური დასაქმება, საზოგადოებრივი სამსახურების გამოყენების ხარჯზე; სრულყოფილი ხდება სოციალური დაზღვევის სისტემა მისი პერსონიფიკაციის გზით. გათვალისწინებულია საპენსიო უზრუნველყოფის სამიარუსიანი სისტემის შექმნა: პირველი – სახელმწიფოს მიერ გარანტირებული მინიმალური პენსიები; მეორე – სავალდებულო საპენსიო დაზღვევით გაცემული პენსიები; მესამე – ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის ხარჯზე გაცემული პენსიები.

სოციალურ სფეროში მიიღება ზომები სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ჩამოყალიბებული სისტემის მხარდაჭერისა და შენარჩუნებისათვის, ხორციელდება ჯანდაცვისა და განათლების რეფორმები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო რეფორმას.

ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ბევრ ყოფილ რესპუბლიკაში, ყირგიზეთშიც სოციალური პრობლემები აფერხებენ ბაზარზე გადასვლას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პიროვნების უფლებების დაცვაში დაურწმუნებლობით მოქალაქეები გრძნობენ საფრთხეს ლიბერალური ეკონომიკის მხრიდან, რაც განსაკუთრებით ვლინდება ცხოვრების დონის დაცვასა და უმუშევრობის ზრდაში. ადეკვატური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც – ხელისუფლებისათვის აუცილებელია მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა.

1995 წელს, წარმოების დაცემის მიმდინარეობის ფონზე, ყირგიზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების წილი განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე შეადგენდა მთელი ხარჯების 54%-ს, ანუ მშპ-ს 15%-ს. სოციალურ სფეროში უდიდესი ხვედრითი წილი ეკავა განათლებას (21.1%), სოციალურ უზრუნველყოფასა და სოციალურ დახმარებას (16.2%), ჯანდაცვას (12.4%). ადგილობრივ, ქალაქის, რაიონის, ოლქის ბიუჯეტებში სოციალური სფეროს ხარჯების ხვედრითი წილი შეადგენს კიდევ უფრო მეტ პროცენტს – 71.1-დან 94,5%-მდე [13, გვ. 34]. ამასთან, სოციალურ საჭიროებებზე გაწეული რეალური ხარჯები წლიდან წლამდე მცირდება.

ყირგიზეთში სოციალური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია ხორციელდება ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებიდან

⁴ ამოცანების უკანასკნელი ჯგუფის გადაწყვეტამ მოითხოვა სნგს ყველა ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებისაგან მნიშვნელოვანი საორგანიზაციო სამუშაოები, როგორც დასაქმების სამსახურის სტრუქტურის, ასევე სოციალური სამსახურების ტერიტორიული სტრუქტურის შესაქმნელად.

გამომდინარე: ფინანსური და სოციალურ-პოლიტიკური.

ფინანსური ასპექტი: ქვეყანაში აღიარებულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეფექტიანობის უპირობო მნიშვნელობა, ასევე სოციალურ საჭიროებებზე ხარჯებისა და დამარების შენარჩუნების აუცილებლობა ეროვნული შემოსავლის პროპორციულად. ამასთან, გაცნობიერებულია სოციალურ საჭიროებებზე ხარჯების, როგორც ყველა დონის ბიუჯეტში მათი მკაფიო დაგეგმის საფუძვლის, გულდასმით შესწავლის მნიშვნელობა. სოციალური დახმარება, როგორც წესი, უნდა ატარებდეს მისამართიან და არა საყოველთაო ხასიათს.

სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი: ეკონომიკის ფუნქციონირება საბაზრო ურთიერთობათა ჩარჩოებში პრაქტიკულად გამორიცხავს სოციალური დაცვის საკრალურ-პატერნალისტურ მოდელს. ადამიანები არა მარტო უნდა გამოხატავდნენ თავის ინტერესს, არამედ იღებდნენ კიდევ პასუხისმგებლობას საკუთარ კმაყოფილებაზე და კეთილდღეობაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მთლიანად ჩამოცილდება სოციალური ამოცანების გადაჭრას, მაგრამ სახელმწიფოს როლი უნდა გახდეს უფრო მეტად შეზღუდული და მკაფიოდ გამოხატული.

სოციალური პოლიტიკის პარადიგმის შეცვლა ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა, რომელიც დგას არა მხოლოდ ყირგიზეთის, არამედ სხვა ყველა სხვა ქვეყნის წინაშეც. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება თავი დაიცვას შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის სხვადასხვა ფაქტორებისაგან. ამისათვის აუცილებელია სოციალური დაზღვევისა და საშემნახველო სისტემის გარკვეული მექანიზმები. რესპუბლიკისათვის აშკარაა სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც მკაცრად ვლინდება საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში.

ყირგიზეთში სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს:

- გაწეული სოციალური დახმარების მისამართიანობის გადრმავება დაფინანსების სანდო წყაროებისა და დონეების მკაფიო განსაზღვრით;
- სოციალური დაზღვევის სისტემის, მათ შორის საპენსიო უზრუნველყოფისაც, რეფორმირება;
- მაქსიმალურად შესაძლო დასაქმების უზრუნველყოფა, მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილება;
- ჯანდაცვისა და განათლების სისტემების რეფორმირება;
- მუშაკებისათვის უსაფრთხო შრომის

პირობებისა და შესაბამისი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა.

ყირგიზეთში სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია გათვალისწინებული იყო ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი (1996-2000 წწ.) – არის საფუძვლების შექმნა სახელმწიფოს და პიროვნების ახალ ურთიერთობებზე გადასასვლელად, გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების შერბილება, ცხოვრების დონის შემცირების მინიმიზება და მინიმალური სოციალური გარანტიების სისტემის განმტკიცება. ამ ამოცანების რეალიზაციის მექანიზმად მოიაზრებოდა თვითდასაქმების, მცირე და საშუალო ბიზნესის, ფერმერული მეურნეობის განვითარება, დამოუკიდებელ მეწარმეთა ახალი თაობის ფორმირება.

მეორე ეტაპი (2000-2015 წწ.) – არის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაყოფა ორ, ორგანიზაციულად დამოუკიდებელ და დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მქონე, სოციალური დახმარებისა და სოციალური დაზღვევის სისტემად; საპენსიო დაზღვევის პერსონიფიკაცია; სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიათა ქსელის ორგანიზება მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დაზღვევის მიხედვით, სოციალური რისკების სახეების გათვალისწინებით; დაზღვევის არასახელმწიფო ფონდების განვითარება; პენსიაზე ადრე გასვლასთან დაკავშირებული შედეგათების მოწესრიგება. გათვალისწინებულია განსაზღვრული დონისძიებები საოჯახო პოლიტიკის, მოსახლეობის დასაქმების სფეროსა და შრომის ანაზღაურების რეფორმის პოლიტიკის რეალიზაციაში.

სოციალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები **უკრაინაში** განპირობებულია უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული მთელი რიგი ნეგატიური ეკონომიკური ფაქტორებით. 1990-2010 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდა 48%-ით. ეს დაკავშირებულია სამრეწველო წარმოების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლის შემცირებასთან. წარმოების საერთო დაცემამ, რომლის მიზეზიც გახდა, უპირველესად, მისი სტრუქტურული დაუბალანსებლობა, არსებითი გავლენა იქონია მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებაზე. შეიმჩნევა შემოსავლების სტრუქტურის ცვლილება – მთლიან შიდა პროდუქტში შრომის ანაზღაურების წილის 22%-ით შემცირებისას, შემოსავლების დონე კერძო მეურნეობიდან გაიზარდა 32%-ით. უკრაინის მოსახლეობის ნომინალური შემოსავლები 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 4,4-ჯერ. 2010 წელს შეინიშნებოდა ხელფასის ზრდა დოლა-

ოებისათვის. თუმცა, ზოგჯერ თვლიან, რომ იაპონიაში შესუსტებულია სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებასა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარებაში. და, მართლაც, ზედაპირული შეხედვით თითქოსდა მტკიცდება კიდევ ნათქვამი. მაგალითად, სახელმწიფო არ წარმოადგენს ტრიპარტიზმისა და სოციალური პარტნიორობის პირდაპირ სუბიექტს.

მაგრამ, იაპონური გამოცდილების უფრო სიღრმისეული ანალიზი, პირიქით, მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფოებრივი გავლენა იგრძნობა ყველგან და ყველგან. სხვა საქმეა (და ეს იაპონური ტრადიციაა), რომ ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობებზე სახელმწიფოს გავლენის ფორმები, მეთოდები და მექანიზმები შეუმჩნეველია, ელასტიური და ორიგინალურია. ასე, მაგალითად, პროფესიული სწავლების სფეროში სახელმწიფო ადგენს ერთიან სტანდარტებს, რომელთა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ასეთსავე ინსტრუმენტს ის იყენებს დასაქმების, დაქირავების, შრომის ანაზღაურების და სხვა პრობლემების რეგულირებისას.

იაპონიის გამოცდილება ასევე მოწმობს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში წარმატებით და საქმისათვის სასარგებლოდ გამოიყენება *მორიგი ხუთწლიანი გეგმა*, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: გამჭვირვალობა, კოლექტივიზმი შემუშავებისა და შესრულების პროცესში, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ხუთწლიანი გეგმის პროექტები აქტიურად განიხილება კოლექტივებში, საწარმოებში, სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში.⁵ ასეთი მიდგომის პირობებში გადასაწყვეტი ამოცანები, როგორც წესი, არ არსებობს. დაბოლოს, წამყვან როლი გეგმებისა და სოციალური პროგრამების დამუშავებაში, მიღების პროცედურებსა და რეალიზაციაში ეკუთვნის სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტს.

იაპონიაში სოციალური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია, ასევე სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარება მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში ცნობილი ხუთი სისტემის ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც დაფუძნებულია ხალხის ტრადიციებსა და ფილოსოფიაზე. ამტკიცებენ, რომ, უწინარესად, სწორედ მათ საფუძ-

ველზე დგას „იაპონური სასწაული“ – იაპონიის სწრაფვითი შესვლა მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყანათა შემადგენლობაში. ამ სისტემებს მიეკუთვნება შემდეგი:

- სიცოცხლის ბოლომდე დაქირავება;
- საკადრო როტაცია;
- რეპუტაცია;
- სამუშაო ადგილზე მომზადება;
- შრომის ანაზღაურება.

მანამ, სანამ ჩამოთვლილი სისტემების მოკლე ანალიზს გავაკეთებდეთ, აღნიშნავთ ერთ ზოგად, პრინციპულად მნიშვნელოვან გარემოებას. აღნიშნულ სისტემათა ქმედითობის ფასეულობა და მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ცალკეული ელემენტების ნაკრები კი არ არის, არამედ სისტემების ნაკრებია ერთიან სისტემაში. ყოველი მათგანი ავსებს რა მეორეს, წარმოადგენს მისი ფუნქციონირების საფუძველსა და პირობას. ჯამში, ისინი შეადგენენ ერთიან რთულ მექანიზმს, რომელიც აყალიბებს მძლავრ მოტივაციურ გარემოს, მიმართულს მაღალპროფესიული მუშაკების მომზადებასა და მათი ფიზიკური, შემოქმედებითი და ინტელექტუალური უნარების სრულ რეალიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს.

კადრების მომზადებისა და გამოყენების იაპონური სისტემის ერთიანი მექანიზმის პირველ საკვანძო ელემენტს წარმოადგენს **სიცოცხლის ბოლომდე დაქირავების სისტემა**. კლასიკური სახით, იგი ამჟამად მხოლოდ რამდენიმე მსხვილ საწარმოსა და სახელმწიფო სამსახურში გამოიყენება. დანარჩენ შემთხვევებში არ არსებობს იურიდიულად გაფორმებული ოფიციალური „სიცოცხლის ბოლომდე დაქირავება“.

საწარმოებში კადრების მომზადებისა და გამოყენების იაპონური სისტემის ერთიანი მექანიზმის შემდეგი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია **როტაციის სისტემა**. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ სამუშაო ადგილზე ფუნქციების შესრულების ყოველი 2-3 წლიანი პერიოდის შემდეგ მიმდინარეობს მუშაკთა გადაადგილება პორიზონტალისა და ვერტიკალის მიხედვით. კრიტერიუმები მარტივი და გასაგებია – ის მოვიდა საწარმოში და ვალდებულია შეასრულოს ყველაფერი, რაც ეფუძნება მოუტონს კომპანიას.

პროფკავშირთან შეთანხმება აუცილებელი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მუშაკის გადაადგილება დაკავშირებულია სხვა ქალაქსა თუ რეგიონში მის გადასვლასთან. ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ (აპრილში) სკოლების,

⁵ იაპონელებმა იციან, რომ საბოლოო ანგარიშში, ის, რაც დაგეგმილია, მიმართულია ადამიანის განვითარებაზე, მისი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ზრდაზე. ამიტომ აქ გამორიცხულია ფორმალიზმი, მთელი მოსახლეობა დაინტერესებულია სოციალურეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაციაში, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს, მათ ინტერესებს, შემოქმედებას, ინტელექტსა და მოქმედებას.

კოლეჯების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები ეწყობიან სამუშაოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ამასთან, დამახასიათებელია, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის, ყველაზე პრესტიჟული – ტოკიოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც კი თავიდანვე არ ინიშნებიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე; ისინი შრომით ბიოგრაფიას იწყებენ არაკვალიფიციური სამუშაო ადგილებიდან. ამრიგად, როტაციის სისტემა უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მოქნილობას, ამაღლებს მისი კომპეტენტურობის, კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის დონეს.

კადრების მომზადებისა და გამოყენების იაპონური სისტემის ერთიანი მექანიზმის ასევე მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია **რეპუტაციის სისტემა**. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სადაც არ უნდა მუშაობდეს მუშაკი, სპეციალისტი, იგი ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალდებულებები ისე, რომ 2-3 წლის შემდეგ ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლისას მას დარჩეს ინიციატივითი მუშაკისა და მოწესრიგებული ადამიანის რეპუტაცია. ამისათვის თითოეულზე დგება წერილობითი დახასიათება. დახასიათების ობიექტურობა უზრუნველყოფა თანამშრომლის ყოველდღიური შემოწმებით, კოლეგების, დაქვემდებარებულების, ხელმძღვანელების, კლიენტების და ა.შ. გამოკითხვის ფორმით. დახასიათება გავლენას ახდენს როტაციაზე და, როგორც წესი, განსაზღვრავს შემდგომ შრომით კარიერას.

პერსონალის მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მუშაკთა სწავლებასა და გადამზადებას. ამასთან, საკვანძო მნიშვნელობა აქვს **სამუშაო ადგილზე მომზადებას**. თუმცა, ესეც, გარკვეული გაგებით, სიცოცხლის ბოლომდე დაქირავების სისტემის ელემენტია. საგულისხმოა, რომ იაპონური ორგანიზაციები, საწარმოები და სახელმწიფო სამსახურები არ მოითხოვენ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისაგან სპეციალურ მომზადებას. ისინი თვითონ ანხორციელებენ თავიანთი მუშაკების იმ დონემდე სწავლებას, რაც საჭიროა ორგანიზაციისათვის. ამდენად, საგანმანათლებლო ფუნქციები იაპონიაში მკვეთრად გამოიჯნულია სასკოლო განათლებასა (რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტურ მომზადებას) და შიდასაფირმო განათლებას (რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ მომზადებას) შორის. გარდა ამისა, სახელმწიფო მოსამსახურეთა მომზადებითაა დაკავებული პერსონალის საქმეების სამმართველო

ლოსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი.

პერსონალის, მათ შორის სახელმწიფო მოსამსახურეთა, შრომის მაღალ შედეგიანობას დიდად განსაზღვრავს მოტივაციის, და, უწინარეს ყოვლისა, **შრომის ანაზღაურების ქმედითი სისტემის** შექმნა. კერძოდ, სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის სიდიდე განისაზღვრება ორი გარემოებით: გრადაციით (თანრიგით), რომელიც შეესაბამება მუშაკის თანამდებობას (კვალიფიკაციას), და საფეხურით, რომელიც განსაზღვრულია თანამშრომლის ასაკით (სტაჟით). სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ტიპობრივ ბაღეში თერთმეტი გრადაცია და ოცდათორმეტი საფეხურია.

შრომის ანაზღაურების მომდევნო, უფრო მაღალი საფეხური თანამშრომელს ენიჭება მუშაობის ყოველი წლის (მაქსიმუმ ორი წლის) შემდეგ. მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურეს თავისი თანამდებობის მიხედვით აქვს მე-6 გრადაცია, მუშაობის სტაჟის მიხედვით კი – 21-ე საფეხური. მაშინ მისი თანამდებობრივი სარგო თვეში შეადგენს 410.2 ათას იენს. ერთი წლის შემდეგ იგი გადავიდა 22-ე საფეხურზე – თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 428.3 ათას იენამდე.⁶

იაპონიის სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ისევე, როგორც კერძო სექტორის მუშაკებისათვის, შრომის ანაზღაურების გარდა, გათვალისწინებულია ზოგიერთი სახის დახმარების გაცემა (საოჯახო დახმარება, სატრანსპორტო დახმარება ან პირადი ავტომობილის ბენზინის ღირებულების ანაზღაურება, რეგიონული დახმარება, დახმარება შრომის განსაკუთრებული პირობებისათვის). ამასთან, წელიწადში 5 თანამდებობრივი სარგო გაიცემა ბონუსების სახით (0.8 – მარტში, 2.0 – ივლისში, 2.2 – დეკემბერში).

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი **პრინციპული თავისებურება**, რაც ვრცელდება იაპონიაში გატარებული სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის კიდევ სხვა მრავალ მიმართულებაზე (სოციალური დაცვა, საპენსიო სისტემა, შრომის დაცვა). ქვეყანაში რამდენი საწარმო და ორგანიზაციაა, შრომის ანაზღაურების იმდენივე ფორმა, სისტემა და მოდელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულ ანარქიას პერსონალის სტიმულირების სისტემაში. საქმე განსხვავებული მიდგომების გამოყენებაშია. სახელმ-

⁶ იმ სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, რომელთა გრადაციის დონე მეთერთმეტეზე ზევითაა (მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და მათი მოადგილეები), წარმოებს სხვა ბაზის მიხედვით.

წიფო საკვანძო მოთხოვნებს (მისი დამოკიდებულება კვალიფიკაციისაგან, სტაჟისაგან, მუშაობის რეალური შედეგებისაგან) აყენებს შრომის ანაზღაურების სისტემის წინაშე, მათი რეალიზაციის კონკრეტულ მექანიზმებს კი ირჩევს თვით საწარმო ან დაწესებულება 8, გვ. 74]. მართლაც, ვინ, თუ არა მან იცის ყველაზე უკეთ თავისი თავისებურებანი, ძლიერი და სუსტი მხარეები და ა.შ. მას (საწარმოს, დაწესებულებას) ენიჭება უფლება სახელმწიფოს იდეები და მოთხოვნები დაიყვანოს კონკრეტულ მეთოდოლოგებამდე და რეალიზაციის ინსტრუმენტებამდე.

საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ სოციალური პოლიტიკის სტრუქტურული მთლიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.

2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს საკმაო დოზით სტრუქტურირებულ (რას?), რომლის შემადგენლობაში (რის?) სახით შედიან არა მხოლოდ (როგორი?) სფეროს დარგები, არამედ ასევე (რა?) შრომისა და შრომითი (რის?) დარგში.

3. დაასახელეთ მსოფლიოში რეალიზებული სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის სხვა (რა?), რომელსაც პირობითად ეწოდება (როგორი?), დღეისათვის მოქმედებს ეკონომიკური (რისა?) და (რის?) წევრ ქვეყნებში და იყოფა სამ ძირითად (რად?).

5. განსაზღვრეთ სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის საკრალურ-პატერნალისტური მოდელის არსი და განმარტეთ მისი შინაარსი.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: სოციალური პოლიტიკა გვევლინება ერთგვარ (რად?), რომელშიც აისახება (ვისი?) ღრმად ფესვგადგმული (როგორი?) მოლოდინები, რომლებიც ყალიბდება სოციალური (რის?) სტრუქტურის (სად?).

(როგორი?) მოლოდინები, რომლებიც ყალიბდება სოციალური (რის?) სტრუქტურის (სად?).

7. განსაზღვრეთ სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ლიბერალური მოდელის არსი და განმარტეთ მისი შინაარსი.

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ (რაზე?) დიდი (რა?) მოახდინა ევროპულ მონეტარულ (რაში?) შემსვლელ თათვის (სად?) მიღებულმა (რამ?).

9. დაასახელეთ იაპონიაში სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საყრდენი სისტემები.

10. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: დასავლური ნიმუშის მიხედვით (როგორი?) რეფორმების რეალიზაციის (რად?) შეიძლება გამოდგეს სამედიცინო (რის?) შემოღება (სად?), სადაც ნახევარ წელზე უფრო ნაკლებ დროში იქნა რეალიზებული სამედიცინო დაზღვევის (როგორი?) მოდელი.

11. დაასახელეთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის სისტემის ტრანსფორმაციის კონკრეტული მექანიზმები და ფორმები.

12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: ყაზახეთის მიერ არჩეულ სოციალური რეფორმების სტრატეგიას აქვს (როგორი?) ხასიათი და მიმართულია (როგორი?) ეკონომიკური ზრდის (რის?) შექმნაზე, სოციალური პოლიტიკის (რაზე?) მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და (ვისი?) ინტერესების გათვალისწინებით.

13. დაასახელეთ ყირგიზეთში სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები.

14. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სოციალურ სფეროში მიიღება ზომები (როგორი?) და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ჩამოყალიბებული (რის?) მხარდაჭერისა და (რისთვის?), ხორციელდება (რისა?) და (რის?) რეფორმები.

15. დაახასიათეთ სნგ-ს ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ტენდენციები.

16. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:
კადრების მომზადებისა და გამოყენების იაპონური (რის?) ერთიანი

(რის?) პირველ საკვანძო (რას?) წარმოადგენს (რის?) ბოლომდე დაქირავების (რა?).

17. დაახასიათეთ ბალტიის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ტენდენციები.

18. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება: პერსონალის, მათ შორის სახელმწიფო მოსამსახურეთა, (რის?) მაღალ (რას?) დიდად განსაზღვრავს მოტივაციის, და, უწინარეს ყოვლისა, (რის?) ანაზღაურების (როგორი?) სისტემის (რა?).

რეკომენდებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. – თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო// <http://codex.ge/1055>.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. – თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი. N786 – IIა // <http://codex.ge/2790>.
3. საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს შრომის კოდექსი”. – თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი. '4113-რს // <http://codex.ge/152>.
4. Волгин Н.А. Социальная политика. Учебник. Под общ. ред. Н.А. Волгина. - М.: Издательство «Экзамен», 2003, с. 113-131.
5. Волгин Н.Л. Японский опыт решения экономических и социально-трудовых проблем. - М., 1998.
6. Государственная служба за рубежом: Социальная политика стран ЕС. Приоритеты, механизмы совершенствования: Реферативный бюллетень. - М., 1998.
7. Социальная политика: Толковый словарь / Общ. ред. Н.А. Волгина, отв. ред. Б.В. Ракитский. - М., 2002.
8. Волгин Н.Л. Японский опыт решения экономических и социально-трудовых проблем. - М., 1998.
9. Кейзы как эффективная форма обучения экономистов и менеджеров: феномен, методика составления и использования. - М., 1994.
10. Реформы здравоохранения в Европе: Анализ нынешних стратегий. Резюме / Всемирная организация здравоохранения. Европейское региональное бюро. - Копенгаген, 1996.
11. Социальная политика: Толковый словарь / Общ. ред. Н.А. Волгин. Отв. ред. Б.В. Ракитский. - М., 2002.
12. Социальная сфера жизни общества и политика: Учебно-методическое пособие. - М., 1998.
13. Социальные реформы в странах с переходной экономикой: Проблемы и опыт/ Под ред. С.В. Кадомцевой. - М., 2012.
14. Экономика труда и социальные отношения: Курс ключевых лекций/ Под ред. Н.А. Волгина, Б.В. Ракитского. - М., 1998.